

სენაკის მუნიციპალიტეტი



საპროექტო მომსახურების შესყიდვა კონკურსის მეშვეობით

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციოდ საჭირო
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენა

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10² მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე.

სენაკი 2014 წელი

საკონკურსო განცხადება

1. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მის. სენაკი, ჭავჭავაძის ქ. #103, ს/კ 239889705) აცხადებს კონკურსს საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების საკონკურსო წესით სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. სენაკში მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის დაშენებისა და მიშენებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
3. შესასყიდი საკონკურსო წინადადების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 10000 ლარს. საკონკურსო წინადადება რომლის ფასიც არემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
4. დაფინანსება განხორციელდება 2014 წლის სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.
5. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (მე-15 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია) ერთ დალუქულ პაკეტით და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის „24,, ნოემბრის 10⁰⁰ საათიდან 15⁰⁰ საათამდე, შემდეგ მისამართზე: სენაკი, ჭავჭავაძის ქ. #103; სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება.
6. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 24 ნოემბრის 15 საათზე, შემდეგ მისამართზე ქ. სენაკი, ჭავჭავაძის ქ. #103; სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

საკონკურსო პირობები

1. მოკლე აღწერა: ტერიტორია მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ჭავჭავაძის ქ.№103-ში. მიწის ნაკვეთის ფართი არის 2922კვ.მ. აღნიშნულ ფართზე განთავსებულია სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსართულიანი შენობა ზომით 24,694მ x11,397მ. სკვერი განაშენების ფართობი 455,6კვ.მ. და სკვერი განაშენების ფართობი 192კვ.მ. შენობის სიმცირის გამო სამუშაო ფართობის გაზრდის მიზნით საჭიროა შენობას აღმოსავლეთ მხარეს მიუშენდეს ახალი ოთხსართულიანი შენობა, რომლის განაშენების ფართი იქნება 80კვ.მ (6x11,4) 68,4 კვ.მ. ხოლო არსებულ სამსართულიან შენობაზე დაშენდეს მეოთხე სართული. არსებული სამსართულიანი შენობის სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს ფასადებს ჩაუტარდეს მოპირკეთების სამუშაოები შუშითა და წყალგაუმტარი მასალით. მიშენებულ შენობაში პირველ სართულზე განთავსდეს ფოიე და 4-5 ადგილიანი ლიფტის უჯრედი. მისი გადახურვა სასურველია მოხდეს გამჭირვალე გუმბათით.

არსებულ შენობაზე მესამე სართულის დაშენება მოხდეს მეტალოკრამიტით. იმის გამო, რომ არსებულ შენობას ჩრდილოეთით მესამე სართულზე აქვს ღია აივანი მიზანშეწონილია ანალოგიურის მოწყობა მეორე და მეოთხე სართულზე.

არსებულ შენობაზე დაშენებული ნაწილის ფართი იქნება დაახლოებით 300კვ.მ, ხოლო მიშენებული ნაწილის 80კვ.მ, რომელიც ამ ტერიტორიაზე არსებულ შენობების ვიზუალში და კომპიზიციაში იქნება მისაღები. საკონკურსო წინადადების ტექნიკურ დავალებასთან ერთად თანდართული იქნება ტერიტორიის და არსებული შენობის სურათები. ობიექტი უნდა იყოს თვალსაჩინო და მაღალ არქიტექტურ დონოზე. გადაწყვეტილი ყველა საინჟინრო ნაწილის ელექტრო, სუსტი დენების, წყალმომარაგება-კანალიზაციის და გათბობა-ვენტილაციის სისტემების გათვალისწინებით.

3. საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>)

4. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

5. საკონკურსო განცხადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-4 და მე-5 პუნქტის დარღვევით წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

7. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
8. დოკუმენტების ან და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
9. საკონკურსო წინადადების მიღება დაიწყება 2014 წლის 24 ნოემბრის 9⁰⁰ საათზე;
10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2014 წლის 24 ნოემბრის 15⁰⁰ საათზე;
11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადახდო დოკუმენტაციის საფუძველზე, წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

13. კონკურსანტმა საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:

- ☐ დიზაინი და საორიენტაციო პროექტი;
- ☐ შენობის 3D ვიზუალი (რენდერი);
- ☐ სართულის (სართულების) ესკიზური გეგმა;
- ☐ ფასადზე გამოყენებული მასალის ჩამონათვალი;
- ☐ ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმა;
- ☐ სამშენებლო სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა (1 200 000 ლარი);
- ☐ ზოგადი ინფორმაცია
- ☐ რეკვიზიტები
- ☐ საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით);
- ☐ ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესრულების ვადების შესახებ;
- ☐ პრეტენდენტის მიერ დაპროექტებული შენობა-ნაგებობების ფოტომასალა.

14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

15. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შეყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება. საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები;

16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- დიზაინი და საორიენტაციო პროექტი: კოეფიციენტი – 0,7
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,3

- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
- კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. (ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა).

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) დღის ვადაში სრული საპროექტო– სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

18. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები მოდელისა და ესკიზებში.
19. გამარჯვებულმა კონკურსანტმა სახელშეკრულებო ვადაში უნდა წარმოადგინოს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არქიტექტურული პროექტის ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად.
20. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას წარმოადგენა 3 ეგზემპლარად ნაბეჭდი A3 ფორმატით ფერადი და ელექტრონული ვერსია PDF ფაილით, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 6 მგბ-ს, ხოლო ხარჯთაღრიცხვა Excel-ის ფაილით.
21. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/ და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.
22. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი ხათუნა ჭანტურია, მისამართი სენაკი, ჭავჭავაძის ქ. #103, სენაკის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება, ტელ 599 85 75 15

ტექნიკური დავალება

1. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის დაშენებისა და მიშენებისათვის (საკ/კოდი 239889705) საჭირო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული უნდა იყოს:

1. შენობის სართულიანობა 4 სართული.
2. შენობის საძირკველი მონოლითური რკინა-ბეტონი ლენტური.
3. კოჭები მონოლითური რკინა-ბეტონი.
4. კოლონები მონოლითური რკინა-ბეტონი.
5. გადახურვის ხის ელემენტი (ხის კონსტრუქციები, მეტალო კრამიტის ფურცლები).
6. შემავესებელი ბლოკი მცირეზომის 201 სმ სიგრძის (გარეთა)
7. ტიხრები მცირე-ზომის ბლოკით 151მ.
8. ფანჯრის ლიობები მეტალო პლასმასის (მაღალხარისხის ფერი პრ. მიხედვით, ან ალუმინის).
9. შიდა კარები მდფ-ის (მაღალი ხარისხის).
10. შესასვლელი კარები ალუმინის.
11. ჭერი ამსტრონგის ფილები ლითონის კარკასზე ან მაღალი ხარისხის თაბაშირ-მუყაოს ფილა. (კნაუფი)
12. განათება ჭერზე შეთავსებული.
13. გარეთა კედლების შელესვა. მოპირკეთება ალიკაბონდის ფილებით.
14. შიდა კედლების შელესვა.
15. გარეთა კედლების შელესვა ცემენტით.
16. შიდა კედლების მოპირკეთება თაბაშირის მუყაოს ფილებით დამუშავება და შელესვა.
17. იატაკის მოჭიმვა ქვიშა ცემენტის ხსნარით.
18. დერეფანსა და ფოიეში მაღალი ხარისხის კერამიკის ფილების დაგება.
19. ოთახებში მაღალი ხარისხის ლამინატის ფილების დაგება.
20. სველი წერტილები მაღალი ხარისხის მოჭიქრული ფილებით და მეტლახით.
21. შიდა ელ გაყვანილობა. სპილენძის ელგამტარი. (მაღალი ხარისხის)
22. შიდა და გარე კანალიზაცია.
23. ლიფტი 4ადგილიანი.
24. ინვალიდთა ეტლებისათვის ასასვლელი ბაქნის გათვალისწინება. პანდუსის მოწყობა.
25. შიდა ეზოში შესასვლელის მოწყობა ჩრდილოეთის მხრიდან.
26. შიდა ეზოში მანქანების პარკინგის მოწყობა.
27. შიდა წყალმომარაგება.

1. გამგებლის ოთახი, მოსასვენებელი და სველი წერტილით.
2. მისაღები.
3. გამგებლის I მოადგილის ოთახი.
4. გამგებლის II მოადგილის ოთახი.
5. ოთახები 10 სამსახურზე, 23 განყოფილებაზე (125 თანამშრომელზე).

2. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის დაშენებისა და მიშენებისათვის (საკ/კოდი 239889705) საჭირო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

3. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის დაშენებისა და მიშენებისათვის (საკ/კოდი 239889705) საჭირო სამუშაოების ვიზუალის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მომიჯნავედ მდებარე აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრი

4. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ა) შენობის 3D-ვიზუალი (რენდერი);
- ბ) სართულის (სართულების)ესკიზური გეგმები;
- გ) ფასადზე გამოყენებული მასალის ჩამონათვალი;
- დ) ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმა;
- ე) სამშენებლო სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა;
- ვ) შესრულებული და განხორციელებული ობიექტების ფოტო მასალა (PDF ფორმატში);

შენობის საპროექტო სამუშაოები:

- 1. გეოლოგიური კვლევის დასკვნა;
- 2. ტოპოგადაღება;
- 3. ესკიზური პროექტი;
- 4. არქიტექტურული პროექტი;
- 5. ვერტიკალური გეგმარება;
- 6. კონსტრუქციული პროექტი;
- 7. სანტექნიკური პროექტი
- 8. მეოთხე სართულის ვენტილაციის პროექტი
- 9. მეოთხე სართულის გათბობა
- 10. ძალოვანი ელ.ქსელის პროექტი;
- 11. სუსტი დენების პროექტი
- ა) სახანძრო სიგნალიზაცია, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები;
- ბ) სადამკვირვებლო კამერები ;
- გ) სატელეფონო ქსელი ;
- დ) სატელევიზიო ქსელი ;
- ე) კომპიუტერული და ინტერნეტ ქსელი ;
- 12. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
- 13. ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია:
- ა) არქიტექტურული პროექტი;
- ბ) სანტექნიკური პროექტი;
- გ) გარე ელ.ქსელების პროექტი;
- დ) დენდროლოგია;
- 14. მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა;
- 15. საპროექტო ზედამხედველობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

ა) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს

ალბომის სახით ნაბეჭდი ვერსია A3 ფორმატზე 5-ეგზემპლარად
ბ) CD - ვერსია (ელექტრონული) PDF- ფაილის სახით 5-ეგზემპლარად

4. მომსახურების გაწევის პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი ან წერილობითი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

5. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ————— 2014 წ.

ერთი მხრივ **სენაკის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გამგებელი გოჩა დგებუაძეს სახით და მეორეს მხრივ ————— წარმომადგენელი ————— სახით, (შემდგომში „მიწოდებელი“) კონკურსის საშუალებით დებენ ინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მოელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

„ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

„შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

„მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

„დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის დაშენებისა და მიშენებისათვის საჭირო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ————— ლარს.

ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;

4.2 ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახური.

5. მომსახურების გაწევის ვადები

5.1 მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე დადასტურებას ხელშეკრულების გაფორმებიდან **30 დღის ვადაში**.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. „შემსყიდველი“ გაწეული მომსახურების მიღებას მოახდენს მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება და ვალუტა

ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანად გაწეული მომსახურების მიღება ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

8. ფასები

შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.

ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. მხარეთა უფლება-მოვალეობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. გამოყენებული სამართალი

17.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. შეტყობინება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის _____ ჩათვლით

ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: